პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ოთხშაბათი
27 აპრილი
1949 წ.
№ 83 (8386)
ფასი 20 კაპ.

გამოცემის 29-ე წელი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის აღმავლობის საბრძოლო პროგრამა

ჩვენი გაზეთის 20 და 21 აპრილის ნომრებში გამოქვეყნდა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა", რომელიც მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ. ამ გეგმაში მოცემულია საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლის გაშლილი პროგრამა.

ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობამ ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული პოლი- [illegible]

მის განუხრელად განხორციელებისათვის საჭიროა მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარდაქმნა ახალ ვითარებასთან შეფარდებით. დადგენილებაში ნათქვამია, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩამორჩება მეცხოველეობის პრაქტიკულ მოთხოვნილებებს და ბევრ შემთხვევაში დაბალ თეორიულ დონეზე წარმოებს. არსებული სერიოზული მეცნიერული მიღწევები კოლმეურნეობებში ძალიან ნელა ინერგება. პარტიისა და მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ამაღლების კონკრეტულ ღონისძიებებს. ამოცანა ის არის, რომ ფართოდ [illegible]

შრომამა და ამიტომაც ის ასე ღირსეულად არის დაფასებული.

სამწლიანი გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით სერიოზული ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის მუშაკთა წინაშე. სულადობის მიხედვით მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას საქართველოს კოლმეურნეობები ყოველწლიურად ასრულებენ, მაგრამ დავალებას მეცხოველეობის პროდუქტიულობის დარგში ბევრი რაიონი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს. წველადობა ძალიან დაბალია.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილო- [illegible]

[illegible] ...ველობის განვითარების სამწლიანი გეგმის სასახელოდ შესრულებისათვის!

## სსრ კავშირის პროფესიული კავშირების X ყრილობა

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების X ყრილობის 23 აპრილის საღამოს სხდომის გახსნისას თავმჯდომარე აცხადებს, რომ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 68 კაცმა. შემოდის წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. ყრილობა იღებს ამ წინადადებას. საბოლოო სიტყვას აძლევს პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. ხ. კუვშინოვი.

თავმჯდომარე საბოლოო სიტყვას აძლევს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვს. ყრილობის დელეგატები, — ამბობს ამხ. კუზნეცოვი,—სამნახევარი დღის განმავლობაში დიდი აქტივობით განიხილავდნენ საკავშირო პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენებას. მოხსენების განხილვამ ცხადყო, თუ რა განუზომლად გაიზარდა საბჭოთა პროფკავშირების ავტორიტეტი და ამაღლდა მათი როლი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ყრილობის სახელით წინადადება შემომაქვს მივესალმოთ პროფკავშირთა X ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორებსა და მონაწილეებს, რომლებმაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს, და ვუსურვოთ მათ შემდგომი წარმატება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. (მქუხარე ტაში). ნება მიბოძეთ აგრეთვე ჩვენი ყრილობის ყველა მონაწილის სახელით გულითადი მადლობა ვუძღვნა საზღვარგარეთელ მოძმე პროფკავშირების ყველა დელეგატს, საბჭოთა პროფესიული კავშირებისადმი მათი მხურვალე მისალმებისა და საუკეთესო სურვილებისათვის. (მქუხარე ტაში). სსრ კავშირის პროფესიული კავშირების X ყრილობის მუშაობაში საზღვარგარეთის ქვეყნების პროფკავშირთა დელეგაციების მონაწილეობა სამსახურს გაუწევს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

კომუნიზმისაკენ ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილი წინსვლის პირობებში პროფკავშირების, როგორც კომუნიზმის სკოლის, როლი განუზომლად იზრდება. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა დავრაზმოთ მთელი ძალები იმისათვის, რომ ავიყვანოთ პროფესიული ორგანიზაციების მუშაობა ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენი სამშობლოს წინაშე დასახული ისტორიული ამოცანების დონემდე (მქუხარე ტაში).

დასასრულ ამხ. კუზნეცოვი დღეგრძელობას უსურვებს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

— გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს საყვარელ და ძვირფას ამხანაგ სტალინს! (ყველანი ფეხზე დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს საკავშირო პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას. შემდეგ ყრილობა იწონებს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პოლიტიკურ ხაზს და პრაქტიკულ მუშაობას.

ყრილობამ მოისმინა საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ამხ. ა. პ. ოსიპოვის მოხსენება სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდების შესახებ.

— ახლა, როდესაც საბჭოთა ხალხი წყვეტს კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებს, — ამბობს ამხ. ოსიპოვი,—სსრ კავშირის პროფკავშირთა როლი, მასებში მათი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. X ყრილობის განსახილველად წარმოდგენილი პროფკავშირთა წესდების პროექტი განსაზღვრავს ორგანიზაციულ ფორმებს, მუშაობის მეთოდებსა და პროფკავშირთა შინაგანი ცხოვრების წესებს, რომლებიც გამომდინარეობენ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის განხორციელების ამოცანებიდან. წესდების პროექტში ნათქვამია, რომ „საბჭოთა პროფესიული კავშირები მთელ თავიანთ მუშაობას ახორციელებენ პარტიის — საბჭოთა საზოგადოების მაორგანიზებელი და წარმმართავი ძალის ხელმძღვანელობით. სსრ კავშირის პროფესიული კავშირები მუშათა მასებს რაზმავენ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო".

შემდეგ მომხსენებელი ჩამოთვლის წესდების პროექტის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კანონებში ასახულია სახელმწიფოს შეუნელებელი ზრუნვა შრომის პირობების გაუმჯობესების, მუშებისა და მოსამსახურეების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საბჭოთა პროფკავშირები კვლავაც იქნებიან მასების მებრძოლი ორგანიზატორები საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელების საქმეში.

საღამოს სხდომის დასასრულს ყრილობას მიესალმა ავსტრიის მელითონეთა პროფკავშირის გენერალური მდივანი ერნსტ ტორნტონი, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. (საკდესი).

## საკავშირო ალკკ XI ყრილობის რეზოლუცია
### საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

საკავშირო ალკკ XI ყრილობამ, რომელმაც მოისმინა და განიხილა ამხ. ნ. ა. მიხაილოვის საანგარიშო მოხსენება კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, დაადგინა: მოწონებულ იქნას საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა.

საკავშირო ალკკ X ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში აღსავსე იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. საბჭოთა კავშირში გაიმარჯვა სოციალიზმმა და ხორციელდება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად უფრო მეტად განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობა. სტალინურმა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით განამტკიცა საბჭოთა ხალხის უდიდესი მონაპოვარი, სოციალისტურმა წყობილებამ ახალგაზრდობისათვის უზრუნველყო შრომის, დასვენების, განათლების უფლება, დაუსახა მას მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობის გზები. საბჭოთა ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომია კულტურისა და მეცნიერების ყველა საგანძური, მისთვის შექმნილია ფართო შესაძლებლობანი უნარისა და ნიჭის განსავითარებლად.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირმა საანგარიშო პერიოდში განვლო დიდი და სახელოვანი გზა. ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და აღზრდილი კომკავშირი თავდადებულად ემსახურება სამშობლოს, ბოლშევიკური პარტიის ერთგული თანაშემწე და რეზერვია, ზრდის საბჭოთა ახალგაზრდობას კომუნიზმის სულისკვეთებით. ომისწინა წლებში, სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის წლებში, კომკავშირი აქტიურად ეხმარებოდა საკავშირო კ. პ. (ბ)-ს სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებაში. კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალისტური მრეწველობის აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო წყობილების განვითარებისათვის, სსრ კავშირის სამხედრო-ეკონომიური ძლიერების ყოველმხრივი განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში კულტურის აყვავებისათვის ბრძოლაში.

ომი, რომელიც საბჭოთა ხალხს თავს მოახვია ფაშისტურმა გერმანიამ, საბჭოთა საზოგადოების მთელი მატერიალური და სულიერი ძალების სერიოზული გამოცდა იყო, მისი სიმტკიცისა და სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება იყო. საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომ ღირსეულად გაუძლო ყველა განსაცდელს და ომიდან გამოვიდა უფრო განმტკიცებული და ძლიერი. მტერზე ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო სახელოვანი კომუნისტური პარტია ბრძენი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

საბჭოთა პატრიოტიზმის კეთილშობილური გრძნობით აღფრთოვანებულმა ჩვენმა ხალხმა სამშობლოსათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა როგორც გმირთა, უშიშარ და მამაც მებრძოლთა ხალხმა. საბჭოთა ახალგაზრდობა და მისი მოწინავე რაზმი—კომკავშირი—მთელ ხალხთან ერთად გმირულად იბრძოდნენ კომუნისტური პარტიის საბრძოლო დროშებით სოციალისტური სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. კომკავშირელები სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში იყვნენ. სამ მილიონზე მეტი კომკავშირელი ომში მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. 3.500 კომკავშირელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

ომის დროს ყველაზე სრულად გამოვლინდა ბოლშევიკური პარტიის მიერ ახალგაზრდა სტალინური თაობისათვის ჩანერგილი კეთილშობილური თვისებები: გამბედაობა, სიმამაცე, შეუპოვრობა დასახული მიზნის მიღწევაში, უსაზღვრო სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, მძაფრი სიძულვილი მისი მტრებისადმი, ლენინ-სტალინის დიადი საქმის სიმართლის დაუშრეტელი რწმენა.

ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის მშრომელები ახორციელებენ ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად მიღწეული და გადაჭარბებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე. განუხრელად იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა.

კომკავშირელები, საბჭოთა ახალგაზრდობა თავიანთ შთაგონებულ შრომას, ცოდნასა და ძალებს ახმარენ კომუნიზმის მშენებლობას, დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის საქმეში. კომკავშირელები იჩენენ თაოსნობასა და ინიციატივას, მაგალითს აძლევენ მთელ ახალგაზრდობას და წარმატებით იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. კომკავშირული ორგანიზაციები ზრუნავენ მუშათა კლასის ღირსეული შევსების მომზადებისათვის სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში. საკავშირო ალკკ ყოველმხრივ ეხმარება ბოლშევიკურ პარტიას საბჭოთა სკოლის განმტკიცებასა და განვითარებაში, რომელიც მოწოდებულია ასწავლოს და აღზარდოს მოზარდი თაობა. კომკავშირული ორგანიზაციები ცდილობენ გააუმჯობესონ მოსწავლეთა სწავლა და აღზრდა. საბჭოთა მოსწავლეები და პიონერები ახარებენ ჩვენს ქვეყანას ახალი წარმატებებით სწავლაში. კომკავშირი აქტიურად მონაწილეობს უმაღლესი სკოლისა და ტექნიკუმების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში. ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენცია თავის შრომასა და ცოდნას ახმარს კულტურის ახალი აღმავლობის საქმეს ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებას.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების კომკავშირელები და ახალგაზრდობა დაუღალავად სრულყოფენ საბრძოლო ოსტატობას, ნერგავენ საბჭოთა მეომრებში—სსრ კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომისა და უშიშროების დამცველებში—მაღალ საბრძოლო და მორალურ თვისებებს.

ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ახალგაზრდობა დგას ყველა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდში, რომელიც იბრძვის მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის, ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების—ახალი ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

ლენინურ-სტალინური კომკავშირი თავის XI ყრილობაზე მოვიდა მრავალმილიონიან ორგანიზაციად, რომელიც მჭიდროდ არის დარაზმული საკავშირო კ. პ. (ბ) გარშემო, დიდი ბელადისა და საყვარელი მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო. საკავშირო ალკკ მთელ თავის წარმატებებს უმადლის ლენინ-სტალინის პარტიას. კომკავშირის ძალისა და სიმტკიცის წყაროა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების), მისი ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობა.

საკავშირო ალკკ XI ყრილობისადმი მისალმებაში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავდა კომკავშირის გაზრდილ როლს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებიდან პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა შეასრულეს. პარტიულ სწავლებაში ჩაბმულია კომუნისტების ძირითადი მასა და უზრუნველყოფილია მეცადინეობის რეგულარული ჩატარება მეტ წილ სკოლებსა და წრეებში. გაძლიერდა კომუნისტების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური სწავლისადმი. მოწყობილია და მუშაობს: 122 ათასი პოლიტსკოლა, რომლებშიც 1.563 ათასი კომუნისტი მეცადინეობს; „საკავშირო კ. პ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელი 88 ათასი წრე, რომლებშიც 1.195 ათასი მსმენელი სწავლობს; 5.748 საღამოს პარტიული სკოლა საკავშირო კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან; ამ სკოლებში 185 ათასი კომუნისტი სწავლობს; პარტიის საქალაქო კომიტეტებთან მოწყობილია მარქსიზმ-ლენინიზმის 200-მდე საღამოს უნივერსიტეტი, სადაც 105 ათასი მსმენელია. 1.260 ათასზე მეტი კომუნისტი დამოუკიდებლად სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

პარტიული განათლების აღმავლობაში დიდი როლი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „იაროსლაველის საოლქო პარტორგანიზაციაში პარტიული განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ამ დადგენილებაში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიული განათლების საქმეში პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პოლიტიკური სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, მისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლება. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლეოდა განსაკუთრებული ყურადღება მიექციოდა პროპაგანდისტთა ხარისხობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანის რაც შეიძლება მალე და წარმატებით გადაწყვეტას, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა დავალებოდათ პარტიის თეორიულად უფრო მომზადებულ წევრებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს პოლიტიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობა, მთელი თავიანთი ყურადღება მიაპყრეს მეცადინეობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების მომთხოვნელობა პროპაგანდისტთა შერჩევისადმი. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში ჩაბმული არიან პარტიის ყველაზე განათლებული და პოლიტიკურად მომზადებული წევრები. საკმაოდ დიდი მუშაობაა გაწეული პროპაგანდისტთა თეორიული ცოდნისა და მეთოდური ოსტატობის გასაუმჯობესებლად.

პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღებისა და ხელმძღვანელობის შედეგად პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობა ძირითადად ორგანიზებულად და სასწავლო გეგმების შესაბამისად მიმდინარეობს. ამჟამად მეტი წილი პოლიტსკოლები პროგრამის უკანასკნელ თემებს სწავლობენ. ძირითადი მასა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელი წრეებისა, რომელთა მუშაობა ნავარაუდევია ორი სასწავლო წლისათვის, ამთავრებს პარტიის ისტორიის ოქტომბრამდელი პერიოდის შესწავლას.

ამრიგად, შექმნილია ყველა საჭირო წინაპირობა იმისათვის, რომ პარტიული განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო წელი წარმატებით დამთავრდეს. მეტ წილ პოლიტსკოლებს შეუძლიათ დადგენილ ვადებში დაამთავრონ სასწავლო პროგრამა: სოფლად — 1949 წლის მაისში და ქალაქად — ივნისში. ამავე ვადისათვის „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელ წრეებს საშუალება აქვთ დაამთავრონ წიგნის მე-7, მე-8 თავების შესწავლა, ხოლო ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ მეტ წილ წრეებს შეუძლიათ მთლიანად დაამთავრონ მუშაობა.

პარტიული განათლების სკოლებსა და წრეებში სასწავლო პროგრამების დამთავრების ვადების განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ თვითეული სკოლის, თვითეული წრის მუშაობის თავისებურებანი. ჩვენ მოგვეპოვება პოლიტსკოლების ნაწილი, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ჩამორჩნენ სასწავლო გეგმის შესრულებაში. არის ფაქტები, როცა ჩამორჩენის ლიკვიდაციის მიზნით ყოველნაირად აჩქარებენ პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობას, მეცადინეობის ხარისხის საზიანოდ.

პრესაში უკვე გაკრიტიკებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ასტრახანისა და ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა არასწორი დირექტივები. ამ განყოფილებებმა წინადადება მისცეს საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ყოველმხრივ დაეჩქარებინათ პოლიტსკოლებში სასწავლო პროგრამების შესწავლა.

ფაციფუცით სწავლებას პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებასთან საერთო არა აქვს რა. იგი მიზნად ისახავს სასწავლო გეგმის მხოლოდ ფორმალურად შესრულებას. არ შეიძლება პარტიული განათლების სკოლებისა და წრეების მუშაობის დაჩქარება მეცადინეობის ხარისხის, იდეურ-პოლიტიკური შინაარსის საზიანოდ.

საჭიროა დიფერენცირებული ინდივიდუალური მიდგომა თვითეული პოლიტსკოლისა და თვითეული წრისადმი, მათი მუშაობის ყურადღებით შესწავლა, მათთვის კონკრეტული დახმარების გაწევა. იმ პოლიტსკოლებში, სადაც მეცადინეობის ხარისხისათვის ზიანის მიუყენებლად შეუძლებელია დამთავრდეს პროგრამის შესწავლა მიმდინარე წელს, მიზანშეწონილია სასწავლო მასალის ნაწილის შესწავლა გადატანილ იქნას მომავალი წლისათვის.

სასწავლო წლის წარმატებითი და ორგანიზებული დამთავრება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიული ორგანიზაციები, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები შეუნელებელ ხელმძღვანელობას გაუწევენ პარტიული განათლების ყველა რგოლს. პოლიტსკოლებისა და წრეებისადმი ყურადღების შესუსტებას, სულ მცირე დემობილიზაციურ განწყობილებასაც კი შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს მეცადინეობის რეგულარულად ჩატარებას, მეცადინეობაზე მსმენელთა მთლიანად გამოცხადებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ პოლიტსკოლებმა და წრეებმა პროგრამები შეასრულონ და წარმატებით დაამთავრონ სასწავლო წელი.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან განამტკიცონ მოპოვებული წარმატებანი და მიაღწიონ პარტიული განათლების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. შესწავლილ უნდა იქნას თვითეული პოლიტსკოლისა და თვითეული წრის მუშაობა. ნათელი წარმოდგენა უნდა გვქონდეს იმაზე, თუ რომელ პოლიტსკოლას შეუძლია დადგენილი ვადისათვის დაამთავროს სასწავლო პროგრამის შესრულება და რომელი სკოლა ვერ შეძლებს ამას და მომავალ სასწავლო წელს მუშაობას განაგრძობს თავისი შემადგენლობის სტაბილურად შენარჩუნებით.

პარტიული განათლების დარგში წარმატებათა ძირითადი მაჩვენებელია კომუნისტების იდეური ზრდა, მათი პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოება. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ, თუ როგორ შეითვისეს პოლიტსკოლებისა და წრეების მსმენელებმა გავლილი მასალა. სასწავლო წლის დასასრულს პოლიტსკოლებსა და წრეებში მიზანშეწონილია მოეწყოს შემაჯამებელი მეცადინეობა, მსმენელებთან პროპაგანდისტის ჩვეულებრივი ცოცხალი საუბრის სახით. შემაჯამებელი მეცადინეობისათვის მომზადების პერიოდში მსმენელებმა უნდა გაიმეორონ გავლილი მასალა, ხოლო პროპაგანდისტებმა მთელი რიგი კონსულტაციები ჩაატარონ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ კომუნისტებთან სასწავლო წლის დასასრულს უნდა ჩატარდეს ჯგუფური თეორიული გასაუბრებანი, რომლებზეც უნდა მოეწყოს საუბრები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შესწავლილ ნაწარმოებთა ძირითად საკითხებზე. გასაუბრებისას მიზანშეწონილია აგრეთვე მოსმენილ იქნას იმ კომუნისტების რეფერატები, რომლებიც თვითგანვითარებისათვის მუშაობენ.

შემაჯამებელი მეცადინეობა და კომუნისტებთან თეორიული გასაუბრებანი ხელს შეუწყობენ გავლილი მასალის შეთვისების შემოწმებას. მეორე მხრივ ისინი ხელს შეუწყობენ პოლიტიკური ცოდნის განმტკიცებას, გააძლიერებენ კომუნისტების პასუხისმგებლობას თავიანთი მარქსისტულ-ლენინური მომზადების გაუმჯობესებისათვის.

ამასთან პარტიული განათლების სისტემაში ახლავე უნდა გაჩაღდეს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. ამ მზადების უმნიშვნელოვანესი მომენტია პროპაგანდისტთა კადრების შენარჩუნება, მათი ხარისხობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება. საზაფხულო შესვენების დროს უნდა მოეწყოს პროპაგანდისტთა სპეციალური კურსები ქალაქებში ძირითად სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ და ყველაზე დაშორებული რაიონების სოფლის პროპაგანდისტებისათვის ძირითად სამუშაოსაგან მათი განთავისუფლებით.

საჭიროა აგრეთვე განვაზოგადოთ მიმდინარე წელს შეძენილი დიდი გამოცდილება, გავითვალისწინოთ ყოველივე დადებითი, რაც მიღწეულია პარტიულ განათლებაში, აღვნიშნოთ ნაკლოვანებანი, რათა ისინი მომავალში აღარ დავუშვათ.

პარტიის წევრების, მთელი ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის განუხრელი ზრდა უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისა, რომ ახალი წარმატებები მოვიპოვოთ ხალხის მასების კომუნისტურ აღზრდაში, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთებისა და მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ლენინ-სტალინის ყოვლისშემძლე იდეათა პროპაგანდაში.

„კულტურა ი ჟიზნ", 21/IV.

# საკავშირო ალკკ XI ყრილობის რეზოლუცია

## საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(დასასრული)

„ახლა, როცა საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის დიდ ამოცანებს წყვეტს, — ნათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ყრილობისადმი, — უფრო მეტად იზრდება კომკავშირის როლი ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. კომკავშირმა ახალგაზრდობაში უნდა აღზარდოს უშიშარი, მხნე, ხალისიანი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, ყოველგვარი სიძნელის დაძლევისათვის მზადმყოფი მებრძოლები ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

საკავშირო ალკკ XI ყრილობა საზეიმო დაპირებას აძლევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ სტალინს დაუღალავად აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნიზმის სულისკვეთებით, ლენინ-სტალინის დიდი იდეების სულისკვეთებით.

### I

ბოლშევიკური პარტია, ლენინი და სტალინი კომკავშირის მთავარ ამოცანად ყოველთვის თვლიდნენ ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას. ამკვამად, როცა საბჭოთა კავშირი ახორციელებს სოციალიზმად კომუნიზმში გადასვლას, კომკავშირს მოეთხოვება შემდგომ ყოველმხრივ გააძლიეროს მუშაობა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის დარგში. საკავშირო ალკკ ახალგაზრდობას უნდა ზრდიდეს საბჭოთა იდეოლოგიის სულისკვეთებით, ამაღლებდეს მის კომუნისტურ შეგნებას, გადაჭრით იბრძოდეს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ.

საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური საზოგადოების მძლავრი მამოძრავებელი ძალაა, კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი წინსვლის ცხოველმყოფელი წყაროა. საბჭოთა პატრიოტიზმის ყოვლისმძლე ძალა აღფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდობას სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურისათვის. საკავშირო ალკკ-მ ახალგაზრდობას უნდა განუვითაროს მხურვალე სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, აღზარდოს საქმიანი, ინიციატივიანი ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ ყოველ ასპარეზზე თავდადებით ემსახურონ სამშობლოს ინტერესებს, რომელთაც შეგნებული ექნებათ თავიანთი მაღალი ღირსება, როგორც დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეებისა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლებისა. კომკავშირის მნიშვნელოვანი ამოცანაა ახალგაზრდობის აღზრდა სსრ კავშირის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის სტალინური იდეოლოგიის სულისკვეთებით.

ლენინ-სტალინის მოძღვრება მთელი ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის საფუძველია. კომკავშირი მოწოდებულია პოლიტიკურად გაანათლოს ახალგაზრდობა, გადაუშალოს მას კომუნიზმის მშენებლობის პერსპექტივები.

ახორციელებს რა კომუნისტურ აღზრდას, კომკავშირმა უფრო მეტი ენერგიით უნდა დარაზმოს ახალგაზრდობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ჩაუნერგოს ჯანეკეტლა და ქალაშვილს სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი. მზადყოფნა მთელი ძალებით განამტკიცონ საბჭოთა წყობილება, ჩვენი მრეწველობა, ტრანსპორტი, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ცოდნის, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის დაუფლებისაკენ მისწრაფება სოციალისტური საზოგადოების ადამიანის განუყოფელი თვისებაა. ეს კომკავშირისაგან მოითხოვს განუწყვეტელ ზრუნვას ახალგაზრდობის განათლების, საერთო და საწარმოო კულტურის ამაღლებისათვის.

საკავშირო ალკკ ამოცანაა აღზარდოს ახალგაზრდობა ფიზიკურად გამძლე, ძლიერი, უნარიანი, რომ თავდადებულად იშრომოს და მზად იყოს თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

კომკავშირი მოვალეა ხელი შეუწყოს დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის განმტკიცებას, დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ბანაკის გაძლიერებას, აღზარდოს საბჭოთა ახალგაზრდობა ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

საკავშირო ალკკ მთელი მუშაობა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის დარგში უნდა განხორციელდეს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის გარშემო საბჭოთა ახალგაზრდობის შემდგომი დარაზმვის ნიშნით.

### II

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა ხორციელდება კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. მხოლოდ მთელ მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან ერთად შრომაში გადის ახალგაზრდობა აღზრდის ბოლშევიკურ სკოლას. ასრულებდა რა საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომკავშირმა გააძლიერა თავისი როლი სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში. გაიზარდა საკავშირო ალკკ აქტიობა და ინიციატივა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების ამოცანების შესრულებაში.

კომუნიზმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის პირობებში კომკავშირი მოწოდებულია უფრო ფართოდ გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, დარაზმოს ახალგაზრდობის ძალები მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ზრდისათვის. საკავშირო ალკკ-ს უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა დარაზმოს ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და თვისებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის, შრომის ნაყოფიერების, როგორც ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვების ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარი პირობის, ზრდისათვის საბრძოლველად.

საკავშირო ალკკ ახალგაზრდობას უნდა უნერგავდეს პატიოსნებას სამშობლოსათვის საკერო ყოველგვარი მუშაობისადმი, სიყვარულს საკუთარი პროფესიისადმი, უვითარდეს მას შრომითი აქტივობას, აღწევდეს იმას, რომ თვითეული ახალგაზრდა მუშა დღითიდღე მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს საწარმოო დავალებებს, ზუსტად იცავდეს სახელმწიფო და შრომის დისციპლინას, იბრძოდეს საწარმოთა, მშენებლობათა საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. საჭიროა უფრო ფართოდ გავავრცელოთ და დავნერგოთ შრომის მოწინავეთა მეთოდები, ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი ახალგაზრდობის პატრიოტულ მოძრაობას თვიურ, წლიური ნორმების ვადამდე შესრულებისათვის, ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის, მივაღწიოთ იმას, რომ კომკავშირელები და ახალგაზრდა მუშები იძლეოდნენ მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განხორციელება ტექნიკური პროგრესი მოითხოვს საწარმოო-ტექნიკური სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას, კომკავშირის მუდმივ ზრუნვას ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის, საწარმოო კულტურის ამაღლებისათვის. საჭიროა ახალგაზრდობაში გავაძლიეროთ ტექნიკური პროპაგანდა, გავაცნოთ ახალგაზრდა მუშებს მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევები, საუკეთესო სტახანოველთა, წარმეობის ნოვატორთა გამოცდილება.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა კლასის ღირსეული შვილების მომზადებაში, მიაღწიონ სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მუშობის გაუმჯობესებას, იზრუნონ შრომითი რეზერვების სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სპეციალობის მიხედვით გამოყენებისათვის, მათი ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. კომკავშირის საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალური კომიტეტები მოვალენი არიან გააძლიერონ კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა შრომითი რეზერვების სასწავლებლებისადმი, აამაღლონ მათი როლი მოსწავლეთა აღზრდასა და საწარმოო სწავლაში.

ყრილობა აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი მუშობა გასწიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში დასახული ამოცანების შესასრულებლად. კომკავშირის მოვალეობაა კვლავაც უფრო აქტიურად დარაზმოს ახალგაზრდობა სოფლის მეურნეობის ახალი ადმოცდნისათვის, მინდერების მოსავლიანობის განუხრელი გადიდებისათვის, პირუტყვის სულადობის ზრდისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის საბრძოლველად. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეუპოვრად უნდა იმუშაონ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-საეურნეო განმტკიცებისათვის, გადაჭრით ებრძოლონ ჩამორჩენილ განწყობილებებსა და შრომის დისციპლინის დარღვევას, მიაღწიონ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმების დროზე შესრულებას.

კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების ელექტროფიკაციის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მექანიზაციის სამუშაოებში, ხელი შეუწყონ საბჭოთა სოფლის კულტურის შემდგომ აღმავლობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საბჭოთა მეცნიერ-მიჩურინელების, სოფლის მეურნეობის მოწინავეების მიღწევათა ფართო დანერგვას. კომკავშირი უნდა დაეხმაროს ახალგაზრდობას მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების საფუძვლების დაუფლებაში.

ყრილობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიისა და თთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში გვალვის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და მოუწოდებს მთელ ახალგაზრდობას უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური პროგრამის შესრულებაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ველიანი და ტყე-ველიანი რაიონების სოფლის მეურნეობისათვის უზრუნველყოფს უხვ და მყარ მოსავალს, კოლმეურნეთა შრომას ბახდის ძაღალნყოფიერს, უფრო მეტად გაზრდის საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ძლიერებას. ყრილობა ყოველმხრივ იწონებს და მხარს უჭერს ბეერი კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივას მინდორსაცავი ტყის ნარგავების გეგმების ვადამდე შესრულების დაზე.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ ყველა იმ საკითხის განხილვასა და პარტიული ორგანიზაციის წინაშე დაყენებისა, რომლებიც მიმართულია საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, სასწავლებლების მუშობის გასაუმჯობესებლად.

კომკავშირელებმა ახალგაზრდობა უნდა დარაზმონ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად და მთელ ახალგაზრდობას უჩვენონ შრომისადმი, სამშობლოს წინაშე თავიანთი ვალდებულებების შესრულებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების მაგალითი.

### III

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დარგში კომკავშირის წარმატებით მუშაობის უმნიშვნელოვანესი პირობაა ახალგაზრდობის პოლიტიკური შეგნების და საკავშირო ალკკ წევრთა იდეური წრთობის დონის ამაღლება. ახალგაზრდობაში მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ყოველმხრივ გაძლიერება ლენინური კომკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ლენინისა და სტალინის ნაშრომების შესწავლა ჩვენი ქვეყნის მთელი ახალგაზრდა თაობის საარსებო საჭიროებაა.

კომუნისტურმა პარტიამ ყველა პირობა შექმნა, რომ ახალგაზრდობამ ღრმად შეისწავლოს მეცნიერება საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებნი საბჭოთა კავშირში გამოცემულია ასეულ მილიონ ეგზემპლარად. ხორციელდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ახალი გამოცემანი. გამოდის ი. ბ. სტალინის თხზულებანი. ამხანაგ სტალინის ნაშრომებნი წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის დასაბუთებას და შემოქმედებითის განვითარებას, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თეორიულ განზოგადებას.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია გაუმჯობესდეს პოლიტიკური განათება კომკავშირში. პოლიტიკურ განათლებას საფუძვლად უნდა დაედოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებთა, საკავშირო კ. პ. (ბ) თეორიისა და ისტორიის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების, სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, საკავშირო ალკკ წესდების შესწავლა.

კომკავშირში პოლიტიკური განათლება უნდა განხორციელდეს ახალგაზრდობის ასაკობრივ თავისებურებათა, მისი ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტიკური მომზადების გათვალისწინებით. მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა უნდა მოეწყოს როგორც ინდივიდუალურად, ისე წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობის მეთოდით. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ყოველდღიური და ქმედითი კონტროლი კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების ხარისხისადმი.

ყრილობა ითვალისწინებს, რომ პოლიტიკური განათლების წარმატების პროპაგანდისტთა კადრები წყვეტენ და ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პოლიტსკოლების, წრეების, სემინარების ხელმძღვანელთა შერჩევისა და მომზადების საქმეს, გააძლიეროს მეთოდური დახმარება პროპაგანდისტებისადმი, ხელი შეუწყოს მათი თეორიული დონის ამაღლებას. უფრო ფართოდ ჩაეგმათ პროპაგანდისტულ მუშაობაში ყველაზე მომზადებული კომკავშირული კადრები, ინტელიგენცია.

ყრილობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრესას კომკავშირში მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისათვის და საჭიროდ თვლის ამაღლდეს კომკავშირული გაზეთებისა და ჟურნალების როლი ახალგაზრდობაში მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის გასაწევად. კომკავშირულმა პრესამ უნდა აამაღლოს ახალგაზრდობის პოლიტიკური შეგნება, ჩაუნერგოს ახალგაზრდა თაობას შრომისადმი, სწავლისადმი, სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი ანალი, კომუნისტური დამოკიდებულება. საჭიროა მოეწყოს პრესის მუშაკთა კადრების მომზადება და გადამზადება, გაზეთებსა და ჟურნალებში სამუშაოდ გაიგზავნონ კომკავშირის საუკეთესო მუშაკები. დაეკალოს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველყოს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ და გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიის“ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების მნიშვნელოვანესი საშუალებაა ლექციური პროპაგანდა. ლექციებსა და მოხსენებებში უნდა შუქდებოდეს ლენინ-სტალინის პარტიის იდეების სიდიადე, კომუნიზმის მშენებლობის წარმატებანი და პერსპექტივები, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები, უნდა ვაცნობდეთ ახალგაზრდობას მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს.

საჭიროა ახალგაზრდობაში გაძლიერდეს საბუნებისმეტყველო ცოდნის პროპაგანდა, რელიგიურ ცრურწმენათან შეუპოვარი და ყოველდღიური ბრძოლა.

კომკავშირში პოლიტიკური განათლება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული იმ ამოცანებთან, რომლებიც ბოლშევიკურმა პარტიამ დაუსახა ჩვენს ქვეყანას, — დაერაზმოთ ახალგაზრდა პატრიოტთა ძალები სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისათვის საბრძოლველად.

### IV

კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ, აქტიურ და შეგნებულ მშენებელთა მომზადების ამოცანა საკავშირო ალკკ-საგან მოითხოვს, რომ მთელი ახალგაზრდობა დაეუფლოს ცოდნას, კულტურას, მეცნიერებას. კომკავშირის უპირველესი მოვალეობაა დაეხმაროს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას სკოლის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში, მოსწავლეთა შორის სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში, ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო სწავლის კანონის განხორციელებაში.

საჭიროა მივაღწიოთ, რომ მოსწავლეები წარმატებით დაეუფლონ მეცნიერების საფუძვლებს. განვამტკიცოთ დისციპლინა და წესრიგი სკოლებში, ჩაუნერგოთ მოსწავლეებს სიმტკიცე და ბეჯითობა ცოდნის დაუფლებაში, ჩავაბათ ისინი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, რასაც დირექტორები და მასწავლებლები ახორციელებენ სკოლებში. ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანიზაცია ვალდებული არიან უფრო ღრმად ჩასწვდნენ სკოლის ცხოვრებას, ხელი შეუწყონ სასწავლო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას, არ დაუშვან მოსწავლეთა გადატვირთვა საზოგადოებრივი და სხვა არასასწავლო მუშაობით. კომკავშირის ვალია ყოველმხრივ განამტკიცოს მასწავლებლის ავტორიტეტი, დაეხმაროს მას მთელ მუშაობაში მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლის დარგში.

ბავშვების კომუნისტურ აღზრდაზე დიდ გავლენას ახდენენ ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციები. ნორჩ პიონერთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან დაეხმარონ მასწავლებლებს ბავშვების აღზრდასა და სწავლაში, სკოლაში დისციპლინის შემდგომ განმტკიცებაში. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ყოველმხრივ გაძლიერდეს ხელმძღვანელობა პიონერული მოძრაობისადმი, გაიხარდოს ზრუნვა პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებისადმი, გაიგზავნონ ნორჩ პიონერებთან სამუშაოდ კომკავშირის საუკეთესო კადრები. პიონერ ხელმძღვანელთა სწორი შერჩევა, მათდამი გულდასმითი და ყოველდღიური ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარება, წარმოების ყველა დარგში მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვა, აყენებენ სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური და კულტურული კადრების მომზადების ამოცანას.

კომკავშირი მოვალეა მიაღწიოს სწავლის ხარისხის ამაღლებას და დისციპლინის განმტკიცებას უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, სტუდენტთა მაღალ წარმატებას. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ მომავალი სპეციალისტების აღზრდას ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, გადაჭრით გამოვიდნენ აპოლიტიკურობის, უიდეობის, უცხოურის წინაშე ქედმოხრის იმ გამოვლინების წინააღმდეგ, რაც ზოგჯერ თვალს იჩენს სტუდენტობაში. უმაღლესი სასწავლებლის თვითეული სტუდენტის და ტექნიკუმის მოსწავლის პატრიოტული ვალია წარმატებით დაეუფლოს ცოდნას, აიმაღლოს თავისი პოლიტიკური და კულტურული დონე, მოემზადოს საბჭოთა სპეციალისტის პასუხსაგები და საპატიო მუშობისათვის.

ყრილობა აღნიშნავს მუშა და გლეხი ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშობის დიდ მნიშვნელობას და საჭიროდ მიაჩნია მეტი დახმარება გაეწიოს მათ კომკავშირული ორგანიზაციების მხრივ.

საკავშირო ალკკ-მ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა ინჟინრების, ტექნიკოსების, მასწავლებლების, აგრონომების, ექიმების, ლიტერატორისა და ხელოვნების მუშაკების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, აღზარდოს ახალგაზრდა ინტელიგენცია საბჭოთა ეროვნული სიამაყის, თავისი ხალხისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. საჭიროა ყოველმხრივ განვავითაროთ ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა, მივაღწიოთ იმას, რომ მან უფრო ფართო მონაწილეობა მიიღოს ჩვენი მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში, კომუნიზმის მშენებლობის დიადი გეგმების შესრულებაში.

### V

კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა აღზრდა გულისხმობს ახალგაზრდობის კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას, საგანმანათლებლო და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებას. კომკავშირმა ფართოდ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა საბჭოთა ახალგაზრდობის კულტურული ზრდისათვის, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჭოს-სამკითხველოების, კლუბების, კულტურის სახლების, თეატრების, მხატვრული თვითმოქმედების წრეების მუშაობაში. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჭაბუკებსა და ქალაშვილებს ჩაუნერგოთ საყვარული კითხვისადმი, გავაცნოთ მათ კლასიკური და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი.

საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებს არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისა და ახლების გახსნაში, გადავაქციოთ ისინი სოციალისტური კულტურის ნამდვილ კერებად. ითვალისწინებს რა კინოსა და რადიოს დიდ მნიშვნელობას, რომლებიც წარმოადგენენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და განათლების მძლავრ საშუალებას, ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ზომები კინოფიკაციისა და რადიოფიკაციის შემდგომი განვითარების საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ყრილობა კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა ფართოდ განვითარდეს ფიზიკური კულტურა და სპორტი, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მისი ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მომზადების ამოცანათა წარმატებით შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ნებაყოფლებითმა სასპორტო საზოგადოებებმა უნდა უზრუნველყონ ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობა, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება და ამ საფუძველზე საბჭოთა სპორტსმენების მიერ უახლოეს წლებში მსოფლიო პირველობის მოპოვება სპორტის უმნიშვნელოვანეს სახეებში.

კომკავშირმა უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა სასპორტო საზოგადოებებსა და ფიზკულტურის კოლექტივებში, უფრო ფართოდ ჩაბას ახალგაზრდობა ფიზკულტურასა და სპორტში. საჭიროა აქტიური მონაწილეობა სასპორტო ნაგებობათა მშენებლობაში, კომკავშირელებსა და ახალგაზრდობის ძალებით უახლოეს ორ-სამ წელიწადში უნდა აშენდეს უმარტივესი სტადიონები რაიონულ ცენტრებში, სასპორტო მოედნები შვიდწლიან და საშუალო სკოლებთან, შრომითი რეზერვების სასწავლებლებთან და მეტწილ კოლმეურნეობებში. კომკავშირული ორგანიზაციები არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებებთან ერთად ვალდებული არიან გააძლიერონ ახალგაზრდობაში სამხედრო ცოდნის პროპაგანდა, ჩაბას ახალგაზრდობა სამხედრო საქმის შესწავლაში.

კომკავშირელები უნდა გამოდიოდნენ ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის აქტიურ ორგანიზატორებად, აბარებდნენ ნორმებს ნიშანზე „ზნად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“, ეუფლებოდნენ სამხედრო ცოდნას.

### VI

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დარგში კომკავშირის ყრილობა ამოცანები მოითხოვენ ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, კომკავშირული ორგანობის ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებას და პირველად კომკავშირული ორგანიზაციების განმტკიცებას, რომლებიც საკავშირო ალკკ საფუძველს წარმოადგენენ.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი გაიზარდა მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობის მასობრივ, მრავალმილიონიან ორგანიზაციად. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს თავიანთი მუშაობა ისე უნდა მოაწყონ, რომ იგი რაც შეიძლება სრულად აკმაყოფილებდეს ახალგაზრდობის მრავალმხრივ, მზარდ მოთხოვნებს, ამაღლებდეს საკავშირო ალკკ წევრთა აქტივობასა და ინიციატივას, აძლიერებდეს მათ ორგანიზებულობასა და დისციპლინას.

კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველმხრივ გაადგარეთონონ პოლიტიკური გავლენა ახალგაზრდობაზე, უფრო აქტიურად ჩაბას მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობა საკავშირო ალკკ რიგებში. საჭიროა უფრო ფართოდ ჩავაბათ ჭაბუკები და ქალაშვილები საზოგადოებრივ მუშობაში, კომკავშირული პოლიტწრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობაში, სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებათა გატარებაში, რასაც კომკავშირული ორგანიზაციები ახორციელებენ.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს და აღგილობრივ ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებს გააუმჯობესონ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმე, მეტი ზრუნვა გამოიჩინონ მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური ზრდისათვის, აღზარდონ კომკავშირული აქტივი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, უფრო გადაჭრით და გაბედულად წამოაყენონ ახალგაზრდა ქალები ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე.

* * *

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა სოციალისტურ მშენებლობაში თავისი აქტიური მონაწილეობით, ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის დარგში დაუღალავი მუშაობით მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე სიყვარული და მადლობა დაიმსახურა. ლენინურ-სტალინური კომკავშირი უსაზღვროდ ერთგულია კომუნისტური პარტიისა, მისი ერთგული თანაშემწე და მებრძოლი რეზერვია.

საკავშირო ალკკ XI ყრილობისადმი თავის მისალმებაში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა კომკავშირის მუშაობის და რწმენა გამოთქვა, რომ „ლენინური კომკავშირი კვლავაც დარაზმავს ახალგაზრდა პატრიოტების ძალებს ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საბრძოლველად და სახელს მოიხვეჭს ახალი საგმირო საქმეებით კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

საკავშირო ალკკ XI ყრილობა კომკავშირელთა სახელით, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით პირობას აძლევს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისა), მის ცენტრალურ კომიტეტს, ხალხთა დიდ ბელადს, ბრძენ მასწავლებელსა და ახალგაზრდობის მეგობარს ამხანაგ სტალინს, რომ კომკავშირი, საბჭოთა კავშირის მთელი ახალგაზრდა თაობა თავიანთ ძალებს, თავიანთ ენერგიას, თავიანთ ცოდნას მოანმარენ ლენინ-სტალინის დიად საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

# გაზეთ „პრავდის" რედაქციას

## ჟურნალ „ბრიტანსკი სოიუზნიკის"—დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოს მთავარ რედაქტორ—

# არჩიბალდ რ. ჯონსტონისაგან

პატივცემულო რედაქტორო!

დიდად დამავალებთ, ამ წერილს რუსულად რომ თარგმნიდეთ და თქვენს გაზეთში გამოაქვეყნებდეთ.

რამდენადმე ეს პირადი განცხადებაა, მაგრამ მგონია, რომ მას ერთგვარი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს.

რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, მილიონობით უბრალო ადამიანები შეშფოთებული არიან ომის საფრთხით, ხოლო მშვიდობის საქმისადმი მტრული პროპაგანდა ბევრ მათგანს ხელს უშლის გაერკვეს საქმის ჭეშმარიტ ვითარებაში. შესაძლოა ჩემმა შემთხვევამ, ჩემმა გამოცდილებამ რამდენადმე შეუწყოს ხელი კაპიტალისტური ქვეყნების მერყევ ადამიანებს, რომ გა- [illegible]

[illegible]

ინდოეთში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის მოადგილის პოსტი უკავია. 1948 წელს იგი მოსკოვს ჩამოვიდა ბევინის პირად წარმომადგენლად გერმანიის საკითხზე მოლაპარაკებისათვის. რობერტსი ისე მეპყრობოდა, როგორც თავის პირად მეგობარს. ჩემთან საუბარში ხშირად თანაგრძნობით იხსენიებდა საბჭოთა კავშირსა და მის ხელმძღვანელებს. მაგრამ სწორედ რობერტსმა მომცა პირდაპირი ინსტრუქციები — ყოველივეს მიუხედავად გამომეყვანა „ბრიტანსკი სოიუზნიკში" მარშალი, ბევინი და ეტლი „მშვიდობის მოციქულებად", ხოლო საბჭოთა ლიდერები „მსოფლიო ბატონობას მოწყურებულებად".

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო [illegible]

[illegible]

წარმოდგენილი მაქვს მონური ხვედრი, რასაც ჩემს ხალხს განუმზადებენ. წარსული ომის დროს ინგლისელ ხალხს მძიმე ტვირთი აწვა: იგი იტანდა დაბომბვას, მსხვერპლად სწირავდა ყველაზე დიდ თავის საუნჯეს — ახალგაზრდათა სიცოცხლეს.

ინგლისელმა ხალხმა მაშინ საშინელი სასოწარკვეთილების პერიოდიც გადაიტანა: ნაცისტები ახლო იყვნენ, ისინი ევროპის სახელმწიფოებს სულ თილად იპყრობდნენ. და მხოლოდ საბჭოთა ხალხის დიდმა გმირობამ, მისი არმიების უკვდავმა მსხვერპლმა იხსნა ინგლისი იმავე ხვედრისაგან, რაც ეწია ბელგიასა და საფრანგეთს, დანიასა და ნორვეგიას.

ინგლისელ ხალხს, რომელმაც მსხვერპლის [illegible]

[illegible]

[illegible] ტაბელი ხალხის წინააღმდეგ. სელჩოში ვერავინ, კლერკიდან ელჩამდე, ვერ გაბედა უარეყო ჩემი სიტყვების სამართლიანობა. ყველა დამეთანხმა, რომ ეტლის ეს სიტყვა სიცრუით აღსავსეა, მაგრამ პეტერსონმა მაინც მაიძულა დამებეჭდა იგი.

ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ბრიტანეთის საელჩო მოსკოვში დაინტერესებული არ არის ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებით და ფაქტიურად ყოველივე შესაძლებელს სჩადის ამ ურთიერთობის გასაუარესებლად. ჩემ თავს შევეკითხე: მაშ რატომღა ვცემთ მოსკოვში „ბრიტანსკი სოიუზნიკ"-მეთქი?

ამ კითხვაზე გულახდილი პასუხი მივიღე ფრენკ რობერტსისაგან, რომელსაც ამჟამად [illegible]

[illegible] თავისი ძალებისადმი რწმენას უკარგავენ, ამტკიცებენ, რომ ინგლისის მარშალიზაცია მისი ეკონომიური განვითარების თითქოს ერთადერთი გზაა.

მაგრამ ამერიკული ზარბაზნებისა და თვითმფრინავების სანაცვლოდ, რომლებიც მხოლოდ ომის გამჩაღებლებს სჭირდებათ, — ინგლისელი ხალხი იძულებულია მსხვერპლად გაიღოს ის, რაც ყველაზე აუცილებელი და საარსებოა ადამიანის ოდნავ მაინც ასატანი ცხოვრებისათვის. ყველაზე ტრაგიკული ჯერ კიდევ წინაა: უკვე ახლა შექსპირის ახალი შეილოკი ამერიკელ კონგრესმენ კენონის სახით ინგლისელი ხალხისაგან „გირვანქა ცოცხალ ხორცს" მოითხოვს.

ხალხისათვის. სულით და გულით მიყვარს შექსპირისა და ნიუტონის, ბაირონისა და დიკენსის ინგლისი, უბრალო ადამიანთა ინგლისი, პროგრესული ინტელიგენციის ინგლისი. ამ მეორე, ნამდვილი ინგლისის ბედისათვის ვადგები ჩემი ხალხის გამცემლების წინააღმდეგ ბრძოლის გზას. დაე, გაიგოს ინგლისელმა ხალხმა, რომელშიც გავიზარდე და მეტი წილი სიცოცხლე გავატარე. მე ავირჩიე ჩემი გზა. მინდა მჯეროდეს, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც ინგლისი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული იქნება.

გულწრფელად თქვენი ა. რ. ჯონსტონი

მოსკოვი, 1949 წ. 22 აპრილი.

(„პრავდა" 24.IV)



# კამათი საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

## დეპუტატ ნ. ნ. კეცხოველის სიტყვა

(გორის რაიონი, ტყვიავის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მომეცით როგორც უმაღლესი სკოლის მუშაკს, ერთი-ორი ისეთი საკითხი მოგახსენოთ, რომელიც ამჟამად ჩვენს წინაშე დგას და ჩვენგან მოითხოვს დიდ მუშაობას.

უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გამოზარდოს შემოქმედი საზოგადო მოღვაწე. ესაა უმაღლესი სასწავლებლების ძირითადი ამოცანა. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს ღრმად შეასწავლით ჩვენს სტუდენტობას [illegible]

[illegible]

გასულ წელს უნივერსიტეტში მოეწყო მე-10 სამეცნიერო სესია, რომელზეც სტუდენტებმა 73 მოხსენება წაიკითხეს. გამოიცა სტუდენტთა სამეცნიერო შრომების ორი ტომი. მიმდინარე სასწავლო წელს ეს მუშაობა უფრო ფართოდ არის გაშლილი. ამას წინათ ჩატარებულ XI კონფერენციაზე წაკითხულ იქნა 96 მოხსენება. ასევე ფართოდ არის გაშლილი სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც.

[illegible]

ბა საბჭოთა კავშირის მოწინავე, ერთ-ერთ უდიდეს უნივერსიტეტად. მის 12 ფაკულტეტზე 83 კათედრაა. უნივერსიტეტში სწავლობს 5.200 სტუდენტი. მათ ასწავლის 500-ზე მეტი პროფესიული მასწავლებელი, რომელთა შორის 70 პროფესორია და 194 დოცენტი, აქედან მეცნიერების დოქტორია 60-ზე მეტი, მეცნიერების კანდიდატი 214.

ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობის წარმატებას ხელი შეუწყო მატერიალური ბაზის საგრძნობმა ზრდამ. 1948 წელს უნივერსიტეტის ბიუ- [illegible]

[illegible]

[illegible] დიდი ადგილი დაეთმო თეორიულ კონფერენციებს, ექსკურსიებს და სხვ.

ფართოდ გაიშალა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა. ამჟამად უნივერსიტეტში სტუდენტთა 23 სამეცნიერო წრე არსებობს.

[illegible] მწერლებისაგან, თეატრისაგან უფრო მეტი, გარკვეული, უფრო მკაფიო მონაწილეობა მიიღონ ჩვენი მომავალი სპეციალისტების აღზრდის საქმეში.

ჩვენი უნივერსიტეტი სამართლიანად ითვლე- [illegible]

[illegible] აყვავებისათვის ზრუნავს ჩვენი მთავრობა და ჩვენი პარტია.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ მოამაგეს ამხანაგ ლ. ბერიას!

დიდება დიდ სტალინს! (ტაში).

## დეპუტატ შ. ი. ჭანუყვაძის სიტყვა

(ჩოხატაურის რაიონი, დაბლაციხის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების წინაშე დიდი ამოცანები დასახა. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელების წინაპირობაა ქართველი ხალხის უდიდესი ენთუზიაზმი და მისი დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო.

სესიას უნდა მოვახსენო, რომ მთელ ქართველ ხალხთან ერთად ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმაც 1948 წელი მნიშვნელოვანი [illegible]

[illegible]

ლად, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.800 ტონა ჩაის ხარისხიანი ფოთოლი, სანიმუშოდ მოუარონ პლანტაციებს, მნიშვნელოვნად გაზარდონ მათი მოსავლიანობა.

უკვე დაწყებულია ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის პლანტაციების გაშენებისათვის ნიადაგის მომზადება. ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ 1949-1950 წლებში გეგმის გადამეტებით გავაშენოთ 100 ჰექტარი ლიმონი და ფორ- [illegible]

[illegible]

რადაც ვერ აკმაყოფილებს რაიონის ცენტრში კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულ სამუშაოებს. ვთხოვ სესიას გაითვალისწინოს დამატებით ლიმიტგარეშე თანხებიდან დაბის კეთილმოწყობისათვის 100 ათასი მანეთი.

კურორტ ბახმაროს შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივა დასახა გზის გაყვანამ. ზაფხულის პერიოდში კურორტზე დამსვენებელთა რაოდენობა 14-15 ათასს აღწევს. ამ მდგომარეობამ კიდევ უფრო მწვავედ დააყენა საკითხი კურორტის კეთილმოწყობისა. საჭიროა კურორტზე [illegible]

[illegible]

[illegible] ლის მთლიანი ელექტროფიცირება. ამ საპატიო დავალების განსახორციელებლად ჩოხატაურის მშრომელები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. დღეისათვის ელექტროფიცირებულია 13 სოფელი. მიმდინარე წელს ამ რიცხვს მიემატება ხუთი სოფელი. ჩვენ მიზნად დავისახეთ, რომ რაიონის სოფლების მთლიანი ელექტროფიცირება დავამთავროთ 1955 წელს. ჩვენ საამისო საშუალება მოგვეპოვება და ამას გავაკეთებთ კიდეც.

თვალსაჩინო მუშაობა ჩატარდა ჩოხატაურ-ბახმაროს გზის მშენებლობის დასამთავრებ- [illegible]

[illegible] საქართველოს სსრ მეოთხე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია რაიონში ახალი წყალსადენის მშენებლობა, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. შარშან დაიწყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. წყალსადენი შედგენილი ხარჯთაღრიცხვით დაჯდება 750.000 მანეთი. ვთხოვ სესიას წყალსადენის მშენებლობის დაწყებისათვის წელს გაითვალისწინოს 100.000 მანეთი.

ბიუჯეტის პროექტით დაბის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ 95 ათასი მანეთი. ეს, რასაკვირველია, მინიმალუ- [illegible]

[illegible] ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საერთო საქმეში. ქართველი ხალხი, აღზრდილი ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ სტალინურ ტრადიციებზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულოს ყველა გეგმა და ამით უზრუნველყოს ჩვენი დიადი სამშობლოს წინსვლა კომუნიზმისაკენ.

დიდება ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს მშობლიურ სტალინს. (ტაში).

## დეპუტატ ო. გ. ბურდულის სიტყვა

(დუშეთის რაიონი, ჟინვალის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გამომდინარეობს იმ ამოცანებიდან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ახალი [illegible]

[illegible]

საქართველოს მასწავლებლობა, რომელიც ყოველდღიურად გრძნობს პარტიისა და მთავრობის შეუნელებელ მზრუნველობასა და ყურადღებას, ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს სახალხო განათლების წარმატებისათვის, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

ისე როგორც რესპუბლიკის სკოლებს, დუშეთის რაიონის სკოლებსაც აქვთ მიღწევები. დუშეთის რაიონი ახლა აღარ არის უკულტურო და ჩამორჩენილი კუთხე, სადაც წინათ ორი-სამი ორკლასიანი სკოლა თუ არსებობდა. ახლა რაიონში არის 109 დაწყებითი, 28 რვაწლიანი, 7 საშუალო სკოლა და ერთი პედაგოგიური სასწავლებელი, რომლებშიც 8.701 მოს- [illegible]

წაელე სწავლობს. ორ საშუალო სკოლასთან მოწყობილია ინტერნატი, სადაც სახელმწიფო ხარჯზე იზრდება 150 ახალგაზრდა.

მატულობს მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. ყველა საგანში წარმატება აქვს მოსწავ- [illegible]

[illegible] ყოფიერ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ეწევა ფასანაურის საშუალო სკოლაც, რომელიც ემსახურება სამ სასოფლო საბჭოს — ფასანაურის, გუდამაყრისა და ჭართლის სასოფლო საბჭოებს. მაგრამ სკოლის შენობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

1940-1941 სასწავლო წელს ფასანაურისათვის დაპროექტებული იყო სკოლის შენობის აგება, გამონახული იყო შესაფერი ადგილი, მიტანილი იყო ქვიშა და ქვა, მაგრამ მის აშენებას ხელი შეუშალა დიდმა სამამულო ომმა. ვთხოვ სესიას გაითვალისწინოს მთიულეთის ცენტრში, ფასანაურში სკოლის შენობის აგება, რომელიც დაიტევს 500 მოსწავლეს.

ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ ქალაქი დუშეთი კეთილმოწყობილი გახ- [illegible]

დეს. ვთხოვ სესიას ქალაქ დუშეთისათვის გაითვალისწინოს დამატებითი კაპიტალური დაბანდებანი. საჭიროა აშენდეს კულტურის სახლი 500 კაცისათვის, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას ქალაქის კეთილმოწყობის აუცილებელი [illegible]

[illegible] წარმოადგენს მეცხოველეობის რაიონს. დუშეთის რაიონის მშრომელები იბრძოლებენ, რათა აღნიშნული გეგმა წარმატებით შესრულდეს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც აღზარდა დიდი სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა, ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ, საქართველოს კომუნისტური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მომავალშიც მთელი ენერგიით იბრძოლებენ მეოთხე სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

დიდება დიდ სტალინს! (ტაში).

# მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი

## პარიზი

**პარიზი,** 23 აპრილი. (საკდესი). მთელი პროგრესული კაცობრიობის ყურადღება მიპყრობილია პლეიელის დარბაზისაკენ, სადაც უმაგალითო ენთუზიაზმისა და ხალხთა ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი.

მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გამოდიან ხალხების წარმოგზავნილნი, რომელნიც თავიანთ სიტყვაში გამოხატავენ ღრმა რწმენას მშვიდობის დაცვის დიადი საქმის სამართლიანობისა და წარმატებისადმი. მაშინ როცა უზარმაზარ დარბაზში დელეგატები მოხსენებას აკეთებენ მშვიდობისათვის ბრძოლის შესახებ, თავიანთ ქვეყნებში ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და შეაქვთ მშვიდობის დასაცავად მიმართული კონკრეტული წინადადებანი, პარიზისაკენ საფრანგეთის ყველა ნაწილიდან და მისი მეზობელი ქვეყნებიდან მიემართებიან „მშვიდობის ქარავნები“. ამ ქარავნებში მონაწილეობას იღებს მრავალი ათასი დამცველი [illegible]

რომ იარაღის წარმოება დღემდე კერძო მფლობელთა ხელშია.

პირობას გაძლევთ,—თქვა მან,—რომ დიადი საერთაშორისო სოლიდარობის კონგრესი, რომელიც აქ მიმდინარეობს, დიდად შეუწყობს ხელს და მოქმედების ახალ ენერგიას შემატებს მშვიდობის ძალებს კანადაში. მშვიდობისათვის მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ კანადის მოსახლეობის ფართო ფენები: ქალები, მუშები, გლეხები, ახალგაზრდობა, ინტელიგენცია. კანადელი ხალხის ეს მოქმედება მშვიდობის დასაცავად ისე როდი მიმდინარეობს, რომ ომის გამჩაღებლებმა თავიანთი პროვოკაციები არ მოაწყონ. პოლიცია იჭრება ჩვენს კრებებზე, ბევრი ახალგაზრდა დაპატიმრებულია მშვიდობის დაცვისათვის გამართულ მიტინგებში მონაწილეობის გამო. რეაქციული პრესა ბოროტ ცილისწამებას ეწევა მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ კანადაში. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადა- [illegible]

თანკთა პლუტოკრატია ომს ამჯობინებს კრიზისს. პირიქით, ხალხები იბრძვიან და კვლავაც იბრძოლებენ კრიზისების წინააღმდეგ და ომის წინააღმდეგ.

თანკთა იმპერიალიზმი, განაგრძო მარიანეტმ, ყოველმხრივ აფერხებს არგენტინის საგარეო ვაჭრობას, იყენებს მარშალის გეგმას და ისწრაფვის თავის ხელში ჩაიგდოს ეს ვაჭრობა.

ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ მშვიდობა და ეროვნული თავისუფლება, ავაშენოთ ინდუსტრია და განვავითაროთ ჩვენი ვაჭრობა მხოლოდ მაშინ, თუ წინააღმდეგობას გავუწევთ მარშალის გეგმას, რიო-დე-ჟანეიროს პაქტსა და ატლანტიკის პაქტს.

მარიანეტმ თქვა, რომ შესაძლებელია ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის ომის პროვოკაცია მოაწყონ. მათ უკვე მოახდინეს ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება იმ მიზნით, რომ იქ დიქტატურა დაემყარებინათ [illegible]

[illegible]

ხელახლა დაიკავოს თავიანთი ადგილი პროგრესულ ძალებს შორის — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში.

თავის სიტყვაში ჯემს ენდიკოტმა (კანადა) ილაპარაკა კანადელი ხალხის ბრძოლაზე მშვიდობისათვის.

ჩვენს ბრძოლაში მშვიდობისათვის, თქვა ენდიკოტმა, გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, [illegible]

[illegible] კის შეერთებული შტატები ნედლეულის მიმწოდებლად, თავიანთ ნედლეულის ბაზად ხდიან ლათინურ ამერიკას და ახშობენ იქ ინდუსტრიის განვითარებას. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეს ვერ იხსნის ეკონომიური კრიზისისაგან, თქვა მან, რომლის სერიოზული ნიშნებიც სულ უფრო მატულობს იქ: ინფლაცია, უმუშევრობა, ხელფასის შემცირება.

[illegible] პროფკავშირულ ფედერაციათა სახელით, ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა შთამაგონებელი მნიშვნელობა აქვს ავსტრალიის ხალხისათვის მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესს.

დღევანდელ დილის სხდომაზე ილაპარაკეს აგრეთვე იუგოსლავიის დელეგატმა ვიდმარმა და დემოკრატი იურისტების საერთაშორისო ასოციაციის დელეგატმა მურმა.

## პრაღა

**პრაღა,** 24 აპრილი. (საკდესი). გუშინდელი საღამოს სხდომა დაიწყო პარიზის კონგრესზე საფრანგეთის ორგანიზაციის „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლების“ თავმჯდომარის ივ ფარჟის სიტყვის ჩანაწერის მოსმენით. შემდეგ გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის და სხვ. დელეგატები. დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ესპანეთის რესპუბლიკური არმიის გენერლის, ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილის კორდონის სიტყვა. მისი სიტყვის შემდეგ დარბაზში გაისმა შეძახილები: თავისუფლება ესპანელ ხალხს! გაუმარჯოს თავისუფალ ესპანეთს!

ლიუბლინის (პოლონეთი) კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორმა გოტკოვსკიმ მოუწოდა დამსწრეთ მშვიდობის დაცვისაკენ, ხალხთა შორის მეგობრობის დამყარებისაკენ.

ურალელმა მუშამ — სტახანოველმა ვასილ იმოსოვმა მთელი მსოფლიოს მუშებს მოუწოდა — გადაჭრით გაილაშქრონ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

კონგრესის საღამოს სხდომას მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა მთელი რიგი დელეგაციები.

[illegible]

რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაუშალონ გეგმები ომის გამჩაღებლებს და შეინარჩუნონ მშვიდობა.

ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელთა ეკლესიის დელეგატმა — მოსკოვის საპატრიარქოს ეგზარხოსის მოადგილემ დეკანოზმა კრაჩმარმა დელეგატებს მოუწოდა—ყოველი ღონე იხმარონ მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის.

დილის სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ჩინეთის ცნობილი პროფკავშირული მოღვაწენი ლიუ ნინ-ი, იდა ფლოკინერი (ინგლისის დემოკრატ ქალთა კომიტეტის სახელით), უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი იშტვან რუიუნიაკი, თავისუფალი საბერძნეთის წარმომადგენლები და სხვები.

**პრაღა,** 25 აპრილი. (საკდესი) მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის პრაღის ნაწილის გუშინდელ საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ გერმანიის, უნგრეთის, ჩინეთის, რუმინეთის, ირანის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

კათოლიკე მღვდელმა გორაკმა მოუწოდა ყველა ადგილობრივ კათოლიკეს გაერთიანდნენ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისა- [illegible]

სხდომის დასასრულს გამოვიდა საბჭოთა მწერალი კონსტანტინე სიმონოვი. დელეგატები მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა კულტურის წარმომადგენელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა წარმომადგენელს. სიმონოვს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე ტაშით და მოწონების შეძახილებით საბჭოთა კავშირის ხალხთა პატივსაცემად, ყველა ხალხის მეგობრის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის თანმიმდევრული მებრძოლის გენერალისიმუს სტალინის პატივსაცემად.

თავმჯდომარემ ჩეხმა მწერალმა იან დრდამ გამოაქვეყნა რეზოლუციის პროექტი, რომელიც წარდგენილ იქნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის პარიზის ნაწილზე.

მას შემდეგ, რაც გამოცხადდა შენიშვნები რეზოლუციისადმი, რომლებიც ჩინეთის დელეგაციამ შეიტანა, კონგრესის დელეგატებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუციის ტექსტი.

**პრაღა,** 25 აპრილი. (საკდესი). დღეს საღამოს შედგა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის პრაღის ნაწილის დელეგატთა უკანასკნელი სხდომა. მთელი დღის განმავლობაში [illegible]

[illegible]

სოციალისტური შრომის გმირი, წარჩინებული კომბაინერი კონსტანტინე ბორინი, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

კ. ბორინმა ღრმა რწმენა გამოთქვა, რომ ყველა ქვეყნის მილიონობით გლეხს ისევე, როგორც საბჭოთა გლეხებს, არა სურთ ომი და [illegible]

დღეს გამოვიდა აგრეთვე ამერიკელი დელეგატი ქალი მოდ რასელი.

ყველა გამოსულმა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა ხალხთა, მთელი მსოფლიოს ნამდვილად პროგრესულ ძალთა ურყევი სურვილი — დაიცვან ხალხთა შორის მეგობრობა და მშვიდობა.

[illegible] ლები, განურჩევლად პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა ან რასობრივი კუთვნილებისა, ერთიანდებიან დიადი მიზნის მისაღწევად, რომლისკენაც მიისწრაფვიან მთელი მსოფლიოს ხალხები — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მისაღწევად.

# ფადეევის გამოსვლა ბუფალოს სტადიონზე

კულტურის მოღვაწეთა, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა იმ ორგანიზაციების სახელით, რომლებმაც ჩვენ გამოგვგზავნეს, ძმურ სალამს ვუძღვნი საფრანგეთის მუშებს, საფრანგეთის პროგრესულ ინტელიგენციას, მთელ ფრანგ ხალხს.

ჩვენ შევიკრიბენით აქ, საფრანგეთის გულში, 70 ერის წარმომადგენელნი, სხვადასხვა შეხედულების ადამიანები, გაერთიანებულნი ჩვენი ხალხების სურვილითა და ნებით—დაიცვან მშვიდობა და გზა გადაუღობონ ომს.

ომი ესაჭიროებათ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ანგარებიან ადამიანებს, რომლებიც ომებით იკეთებენ თავიანთ საქმეებს. ომი ესაჭიროებათ ამ ადამიანებს და მათს უგუნურ და უნიჭო ფუნქციონერებს, რათა ომის ქარტეხილითა და დედების ცრემლით დაფარონ, რომ [illegible]

არა! არა, ბატონებო! რაც უნდა ეცადოთ, ჩვენ არ ვიომებთ! ხოლო თუ შეეცდებით ფარულ შეთანხმებათა გზით, მოტყუებითა და ძალადობით ჩაგვითრიოთ ომში, ჩვენ, მსოფლიოს ხალხები, სასტიკად დაგსჯით.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, ვიცით, რა არის ომი. და ჩვენ ვფიცავთ სტალინგრადის უკვდავ დიდებას, რომ ომი არა გვსურს! ჩვენ ომი არა გვსურს იმიტომ, რომ ჩვენს დიადსა და დიდად საყვარელ სოციალიზმის ქვეყანაში საკუთარი ხელით ვქმნით ჩვენს ცხოვრებას. 30 წლისაზე მეტი საკუთარი გამოცდილებით ჩვენ ცხადვყავით სოციალისტური შრომის მთელი ცხოველმყოფელი ძალა. ჩვენი გამოცდილებით ყველას დავანახვეთ, რომ სოციალიზმის ქვეყანაში ათობით დიდ და მცირე ხალხს შეუძლია იცხოვროს და კიდევაც ცხოვრობს მშვიდობით და თანხმობით. და ჩვენ მზად ვართ შევეჯიბროთ, ვი- [illegible]

[illegible]

ლების ნანგრევებში. ამიტომ ატომური ბომბის ყველა ამ რაინდებს, დასავლეთის კავშირის, ატლანტიკის პაქტისა და სხვა ამგვარი სამხედრო ბლოკების შემქმნელებს, მომავალში ისინი კიდევ რომ მოიგონებენ, ყველა მათს იდეოლოგიურ დამქაშებსა და გაზეთის მჯღაბნელებს, რომლებიც ომს აღვივებენ, მსოფლიოს ხალხები უპასუხებენ:

[illegible] პაქტის ხელმომწერებზე.

დედების გულისათვის, ახალგაზრდობის გულისათვის ვიხსნათ მსოფლიო ომის გამჩაღებელთაგან! მტკიცედ დაიცავი მშვიდობის საქმე, საფრანგეთის დიადო მუშათა კლასო! გაუმარჯოს ხალხთა შორის მეგობრობას მშვიდობის განსამტკიცებლად! გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

# ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ ტაიუანი დაიკავა

**ბეიპინი,** 24 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილით 5 საათის ბრძოლის შემდეგ სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიკავა შანსის პროვინციის დედაქალაქი ტაიუანი. 12-ზე მეტი გომინდანური დივიზია განადგურებულ იქნა ტაიუანის ქალაქის კედლებს გარეთ სამი დღის ბრძოლაში, რომელიც წინ უსწრებდა ქალაქის დაკავებას.

ტაიუანი მრეწველობის მხრივ ჩრდილოეთ ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქალაქია. იგი 30 წელზე მეტ ხანს გომინდანელი მილიტარისტის იან სი-შანის ბურჯი იყო. იან სი-შანმა იაპონელთა დახმარებით ქალაქის გარშემო ააგო ძლიერი სიმაგრეები ასობით ბლოკჰაუზითა და გამაგრებული წერტით.

# ინგლისის სამხედრო გემებმა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის პოზიციებს სროლა აუტეხეს

### სინხუას სააგენტოს ცნობა

**ბეიპინი,** 23 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტო მდინარე იანძის ფრონტიდან მიღებულ ცნობაში გადმოგვცემს, რომ სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გაანადგურა გომინდანური ფლოტისა და ინგლისის ფლოტის ერთობლივი საზღვაო იერიში, რომელიც დაიწყო 20 და 21 აპრილს მდინარე იანძის გადალახვის დროს ჯენძიანისა და ძიანინის რაიონში.

ბრძოლა დაიწყო 20 აპრილს დილით, როცა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ იერიში მიიტანა გომინდანელთა ხიდწინა სიმაგრეებზე მდინარე იანძის ჩრდილოეთ ნაპირზე და მდინარის კუნძულებზე. ამ მომენტში მოწინააღმდეგის ორმა სამხედრო ხომალდმა, რომელიც აღმოსავლეთიდან მოვიდა, უეცრად სროლა [illegible]

შეასრულებინა მდინარის გადალახვის ოპერაცია დიდი მასშტაბით. მაშინ როცა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარები ესროდნენ ხუთ სამხედრო გემს, რამდენიმე სხვა გემმაც სცადა მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში, თუმცა ნაკლებ აქტიურად, რადგან სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარების ცეცხლი ძლიერი იყო.

21 აპრილის ღამემდე სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებს ეს გემები გომინდანური ფლოტის ნაწილი ეგონათ, მაგრამ მეორე დღეს გამოირკვა, რომ ნამდვილად ეს ინგლისის ოთხი სამხედრო გემი იყო. ინგლისის სამი სამხედრო გემი წავიდა აღმოსავლეთისაკენ ძიანინის გვერდის ავლით, ალბათ [illegible]

[illegible] და და ძიანინისაკენ გაემართა.

მოწინააღმდეგის სამხედრო გემებზე ამ გამარჯვებამ საშუალება მისცა სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას იმავე დღის საღამოს [illegible]

[illegible] სის სამხედრო-საზღვაო გემებთან შეთანხმებით, რომლებმაც ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ იმისათვის, რომ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებს მდინარე იანძი გადაელახათ.

# საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი

25 აპრილს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა ნახევარფინალური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჭადრაკში. კენჭისყრამ ასეთი შედეგი მოგვცა: 1. ოსტატი ილივიცკი (სვერდლოვსკი), 2. ოსტატობის კანდიდატი ნეჟმეტდინოვი (ყაზანი), 3. ოსტატი ჩისტიაკოვი (მოსკოვი), 4. დამსახურებული ოსტატი მაკაგონოვი (ბაქო), 5. ოსტატი გრეჩკინი (სტალინგრადი), 6. ოსტატი კასპარიანი (ერევანი), 7. ოსტატი ხოლმოვი (ვილნიუსი), 8. ოსტატობის კანდიდატი გელერი (ოდესა), 9. ოსტატობის კანდიდატი სოლმანისი (რიგა), 10. ოსტატი პეტროსიანი (ერევანი), 11. ოსტატი ნოვოტელნოვი (გროზნო), 12. ოსტატობის კანდიდატი ლუბენსკი (ვოროშილოვგრადი), 13. ოსტატობის კანდიდატი არამანოვიჩი (მოსკოვი), 14. ოსტატობის კანდიდატი ფირცხალავა (თბილისი), 15. ოსტატი პოგრებინსკი (კიევი), 16. ოსტატი ებრალიძე (თბილისი), 17. ოსტატი კლამანი (ლენინგრადი) და 18. ოსტატი ვასილევი (ლენინგრადი).

თამაში წარმოებს ყოველდღე საღამოს 6 ს. 30 წუთიდან.

## პირველი ტური

პირველ ტურში, რომელიც გუშინ ჩატარდა, გათამაშდა რვა პარტია.

ყველაზე ადრე დამთავრდა მაკაგონოვისა და პოგრებინსკის პარტია. ამ უკანასკნელმა უკვე დებიუტში დაუშვა შეცდომა და წააგო ეტლი ერთ პაიკში. მაკაგონოვმა პარტია მოიგო. კასპარიანმა საუკეთესოდ გამოიყენა არამანოვიჩის პასიური თამაში და მოწინააღმდეგის მეფეზე პირდაპირი იერიშის მიტანით პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. გელერმა, დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში ნოვოტელნოვთან, ზედიზედ დაუშვა ორი მძიმე შეცდომა, რის შედეგად წააგო ორი ფიგურა და მალე მან თავი დამარცხებულად ცნო. ყაიმით დასრულდა ხოლმოვისა და ლუბენსკის პარტია. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

პირველი სვლებიდანვე მწვავე ბრძოლა გაიმართა გრეჩკინის და ფირცხალავას შორის. ორივე მოწინააღმდეგე სასტიკ ცაიტნოტში მოხვდნენ. უკანასკნელი ათი სვლა მათ თითო წუთში გააკეთეს. გადადებულ პარტიაში ინიციატივა გრეჩკინის მხარეზეა.

ებრალიძეს, ენდშპილში ჩისტიაკოვის წინააღმდეგ ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ ამ პარტიის მოგება მისთვის სათუოა. ნეჟმეტდინოვს მოსაგები მდგომარეობა აქვს კლამანთან.

სოლმანისის და პეტროსიანის პარტია გადაიდო თანასწორ მდგომარეობაში.

დღეს გათამაშდება მორიგი მეორე ტური.

## ახალი წიგნები

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო გამომცემლობა შეუდგა მეცნიერულ-პოპულარული ბროშურების სერიის „სანიტარული განათლების ბიბლიოთეკის“ გამოცემას.

უკვე გამოვიდა და იყიდება შემდეგი ბროშურები: პროფესორ ნ. ყიფშიძის — „მუცლის ტიფი“, „გრიპი“; პროფესორ კ. ვეფხვაძის—„კიბო და მასთან ბრძოლა“; დოცენტ ს. მაჩაბლის —„ქუნთრუშა“, „ჩვილ ბავშვთა დიზენტერია“; დოცენტ გ. მარუაშვილის — „მალარია“ და სხვ.

## კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

27 აპრილს, საღამოს 8 საათზე, შედგება ამხ. ფრიშენბერგის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

## ლექცია

27 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში პროფესორი დ. ენუქიძე წაიკითხავს ლექციას თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

## თეატრებში

| | | | |
|---|---|---|---|
| ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის | 27-IV | „ალი“ | 5 აბ. 12 ნარ. |
| | 28-IV | „კარმენ“ | 6 აბ. 12 ნარ. |
| რუსთაველის სახელობის | 27-IV | „ღალატი“ | 17 აბ. 8 ნარ. |
| | 28-IV | „იმათ მხარეში“ | 4 აბ. 8 ნარ. |
| მარჯანიშვილის სახელობის | 27-IV | „გულსენდა“ | 4 აბ. 8 ნარ. |
| | 28-IV | „რომეო და ჯულიეტა“ | აბონ. გარეშე |
| მუსიკალური კომედიის | 27-IV | „სიმღერის ქალი“ | 5 აბ. 9 ნარ. |
| | 28-IV | „სამთა სიყვარული“ | აბონ. გარეშე |
| მოზარდ მაყურებელთა ქართული | 27-IV | „მირანდულა“ | 29 აბ. 6 საათ. |
| | 28-IV | „მირანდულა“ | 64 აბ. 5 საათ. |


რუსთაველის სახელობის კინოთეატრში
ტარდება კინოფესტივალი

27 აპრილს „საზღვარზე“
28, 29 აპრილს „ორთაბრძოლა“
30 აპრილს „დიდების გზა“
1, 2 და 3 მაისს „საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ“



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს **თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური ათწლედი** აწარმოებს 1949-50 სასწავლო წლისათვის მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მიღებას ვოკალურ (სიმღერის) სპეციალობაზე.

მუსიკალურ ათწლედში მიიღებიან ახალგაზრდები (ქალები და ვაჟები) 15-21 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის არანაკლებ 7 კლასისა და აქვთ ბუნებრივი ვოკალური (სასიმღერო) მონაცემები.

მუსიკალურ ათწლედში მუსიკალური საგნების სწავლების გარდა წარმოებს ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლება საშუალო სკოლის კურსის მოცულობით (მერვე კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით).

მუსიკალურ ათწლედში ჩარიცხული მოსწავლენი, გამოელინებულნი რაიონებში, უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სწავლით, კვებით, ტანსაცმლით და საცხოვრებელი ბინით (ინტერნატი).

სწავლა დაიწყება ა. წ. 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, გრიბოედოვის, 8.



მოქალაქე **ელიზბარ ივანეს-ძე ბაზერაშვილმა,** მცხოვრებმა კლარა ცეტკინის ქ. № 74, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნინო სედრაკას ასულ კირაკოსიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ნუცა ერმილეს ასულმა ბოლოთაშვილმა,** მცხოვრებმა კავთისხევის ქ. № 21, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გრიგოლ გიორგის-ძე ბოლოთაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.


მე-2 სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის დირექცია და პედპერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. მხატვარს მისი დედის ლეო **კონსტანტინეს ასულ სალუქვაძე-მხატვარის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე კასინე, შვილები სერგო, ბაბულია, რძალი ანა, შვილიშვილი ნელი ჩიგოგიძეები იუწყებიან **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჩიგოგიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-IV ახალშენში (ჩოხატაურის რაიონი).

მშობლები აპოლონ, მაგდა, დები ნანა, მარინე, მეუღლე ჯულიეტა, შვილი გულვარდი, ბებია მინა ბჟალავები, ბებია დარიკო, ბაბუა გრიგოლ ნარსიები იუწყებიან **ოთარ ბჟალავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-IV ონტოფოში (აბაშის რაიონი).

დედა ბარბარე, მეუღლე ივლიტა, შვილები რუსუდან, ანტისა, თინა, ძმა გრიგოლ ოჯახით, სიძეები სევერიან კობიძე, იოსებ ფეიქრიშვილი, შვილიშვილი თემური იუწყებიან, რომ 30-IV თელავში დანიშნულია **იროდიონ ივანეს-ძე ყარაულაშვილის** პანაშვიდი.

თ. გაჩეჩილაძე, ლ. ქათამაძე, ი. შავიძე, თ. კვინიკაძე, ფ. კაპეტივაძე, კ. დეკანოსიძე, ნ. ნიორაძე და ქ. ნიკოლეიშვილი იუწყებიან **კოლია ლაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-IV ქ. ზესტაფონში.

ფიჩხაია, გახოკიძე, გაბუნია, ჩხეტია, ჩიქოვანი, ჯღარკავა, ფირცხალავა, ფაშტიანი, ჯღარკავა, გეგეჭკორი, დარჯანია იუწყებიან **ტარასი ჩოჩიას** დის **პაშას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-IV კულაშში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000. უე 00747